

Lali Tibilashvili

ლალი თიბილაშვილი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Socialist Pseudo Humanism in Gulo Kobiashvili's Short Stories

სოციალისტური ფსევდოჰუმანიზმი გულო კობიაშვილის მოთხრობებში

Stories of contemporary writer, Gulo Kobiashvili describe, in humoristic manner, the antihuman events characteristic for Soviet Georgia. In her first collection of short stories "Poplar Trees" (1986), based on the principle of critical realism, the author discusses socialist pseudo-humanism and undermining of moral values. Particularly impressive for the readers are stories: "Pirate", "Vana" etc.

Kobiashvili's collection of short stories "Free as a Bird" (1998) demonstrates more prominently and freely the vices characteristic for the soviet period. The author describes with the characteristic humor.

Gulo Kobiashvili's stories clearly reflect the writer's unbiased, healthy criticism to formal moral values falsified by socialist reality.

Keywords: Gulo Kobiashvili, stories, formal moral

საკვანძო სიტყვები: გულო კობიაშვილი, მოთხრობები, ფსევდოჰუმანიზმი

საბჭოთა კულტურაში სოციალისტური რეალიზმის ხანა XX საუკუნის 90-იან წლებამდე გაგრძელდა. 80-იან წლებიდან შეიგრძნობა საბჭოთა ცხოვრების დრომოჭმული რეალობა, ღირებულებათა გადაფასება...

სწორედ ამ პერიოდში, 1986 წელს, გამოსცა თანამედროვე მწერალმა გულო კობიაშვილმა მოთხრობების კრებული „აღვის ხეები“, რომელშიც იუმორისტულად არის გადმოცემული საბჭოთა საქართველოსათვის დამახასიათებელი ანტიჰუმანური მოვლენები. ავტორი კრებულში კრიტიკული რეალიზმის პრინციპით საუბრობს სოციალისტურ ფსევდოჰუმანიზმსა და ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურებაზე. მკითხველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მოთხრობები: „მეკობრე“, „ვანა“, „გვირაბში“, „ძმაო ავქსენტი!“ და სხვ. საბჭოთა რეალობისათვის უცხო არ იყო მექრთამეობა, კანონის დარღვევა.

მოთხრობაში „მეკობრე“ აღწერილია პერსონაჟი ნიკა აბუაშვილი, რომელიც უსამართლობას ებრძვის. ეს ბრძოლა კომიკურ ელფრშია დახატული. მეზობელი ნიკას სასამართლოზე მილიონჯერ გატანილ სახლს ედავება და ყველანაირ უსინდისობას მიმართავს. კერძოდ, მას აბრალებს, რომ ცემის დროს მეზობელს შარვალი შემოახია, ამიტომაც „დაზარალებული“ ნიკასაგან შარვლის სანაცვლოდ ას მანეთს ითხოვს. მალე ნიკამ ას მანეთად ნაყიდი მეზობლის შარვალი სახურავზე დროშასავით აღმართა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პასაჟში გამარჯვებულია დროშა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო. ამგვარი მოთხრობის დაწერა კი იმ პერიოდში საკმაოდ დიდ სითამამესთან იყო დაკავშირებული. დროშადქცეული შარვლის დანახვით შეძრწუნებულმა მეზო-

ბელმა ნიკას თავისი ასი მანეთი გაუგზავნა და საკუთარი ნივთის უკან დაბრუნება ითხოვა, მაგრამ ნიკა ასე იოლად არ დათანხმდა მეზობლის ჭირვეულობას: „დაამატოს მაგ ას მანეთს თავისი ასი და კი ბატონო“, წაიღოსო – შუთვალა.

მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟია საბჭოთა მექრთამე ინსპექტორი, რომელმაც კარგად იცის, რომ მეზობლის წინაშე ნიკას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ მაინც ცდილობს, მას ათასი მანეთი გამოსძალოს. მთავარი გმირი მოხერხებულად მოატყუებს ინსპექტორს და შანტაჟით აიძულებს მას, თვითონ გადაიხადოს ათასი მანეთი.

ნიკა აზუაშვილი ძალიან გვაგონებს ელდარ რიაზანოვის ფილმ „უფროხილდი ავტომობილის“ მთავარ პერსონაჟს, რომელიც უკანონოდ გამდიდრებულ ადამიანებს ავტომობილებს პარავს, ყიდის და ნაყაჩადარიდან აღებულ ფულს ბავშვთა სახლებს სწირავს. რა თქმა უნდა, როგორც უკანონობის ჩამდენი, დამნაშავეა ოლეგ ეფრემოვის გმირი იური დეტოჩკინი, მაგრამ მაყურებელში იგი სიმპათიას იწვევს. ვფიქრობ, დაახლოებით ასე უნდა შევხედოთ გულო კობიაშვილის მთავარ პერსონაჟს. მისი საქციელიც არ არის ბოლომდე პატიოსანი, – მეზობელთან ჩხუბობს, ქრთამის მომთხოვნ ინსპექტორს აშანტაჟებს, მაგრამ ასეთი გზით აღებულ ფულს პირადი სარგებლობისათვის კი არ იყენებს, არამედ საქველმოქმედო საქმეს ახმარს.

მოთხრობა კომიკური სიტუაციით იწყება. ნიკა სამართალდამცველების მიმართ უკმაყოფილებას იმითაც კი გამოხატავს, რომ კატების ჩხუბში არ ერევიან ისინი. მთავარი გმირი გულუბრყვილო აზრებსაც გამოთქვამს ამ ჩხუბის ყურებისას, რითაც მკითხველის ღიმილს იწვევს და ეს სევდიანი ღიმილი მთელ მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს. ავტორი იუმორით ამხელს იმ მანკიერ მხარეებს, რომლებიც საბჭოთა წყობისათვის იყო დამახასიათებელი.

ჩვენთვის საინტერესო ასპექტიდან საყურადღებოა მოთხრობა „ვანას“ დასაწყისი ეპიზოდი: „*–ამხანაგებო! ჩვენმა კოლმეურნეობამ არ უნდა დაკარგოს ადგილი ღირსეულთა შორის. დღესვე შევუდგებით საქმეს და თითოეული ცხვრიდან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, გავპარსავთ 2,5 კილოგრამ მატყლს, ხუთწლედის მეორე წელს კიდევ უფრო რენტაბელური გავზადოთ მეცხვარეობა...*“ (კობიაშვილი, 1986, გვ. 35).

შემდეგ მოთხრობაში იუმორით არის გადმოცემული, თუ როგორ უნდა ამოეტანათ სოფელში „ვანა“. ხალხს ეგონა, რომ გარდაიცვალა თანასოფელი სახელად ვანა, მაგრამ დაღონებულებმა მალე შეიტყვეს, რომ თურმე აბაზანას აგზავნიდნენ სოფელში, რაც საყოველთაო სიხარულმა შეცვალა...

პირველ ეპიზოდში კომიკური სიტუაციის დახატვით არის აღწერილი ის ტრაგიკული სურათი, რომელიც საბჭოთა ეკონომიკისათვის ხშირად იყო დამახასიათებელი. კომიკურია ხელისუფლების მთელი ის დადგენილება, რომლის შესრულებაც კოლმეურნეობას ევალება. სოფელში ვალდებულებას იღებენ, რომ ერთი ცხვრისაგან მომავალში სულ უფრო და უფრო მეტ მატყლს მიიღებენ. ავტორს თითქოს ცხვრებიც აქტიურ მშრომლებად გამოჰყავს და გასაკვირი არ არის, რომ მწერალმა მათაც დაადებინოს პირობა, რომ შემდგომ წლებში გეგმით გათვალისწინებულზე მეტი სიგრძის მატყლი გაეზრდებათ. მოთხრობის ამ ეპიზოდში კარგად არის დახატული მთელი ის ფორმალიზმი, რომელიც საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

მოთხრობა „გვირაბში“ საბჭოთა საგამანათლებლო სისტემის უარყოფით მხარეებს გვიხატავს ავტორი. ამ თხზულებაში დახატულია სოფელში სკოლა-ინტერნატის დირექტორად მომუშავე – ვინმე აბესალომი. იგი პედაგოგია, მაგრამ, როგორც მისივე ფიქრებიდან ირკვევა, არ უყვარს თავისი საქმე, მხოლოდ იმიტომ მუშაობს, რომ საბჭოთა „განაწილებით“ არის გაგზავნილი სოფელში სამუშაოდ და ერთთავად იმაზე ოცნებობს, რომ თბილისში დაბრუნდეს და დიდი მეცნიერი დადგეს:

„ეს ერთი ზამთარიც გავა და ჰაიდა, ტურფა სოფელო, წავა შენი აბესალომი. მეყოფა, რაი ცხოვრებაც ამ ხალხს შავსწირე. მე რო აქ არ დავრჩენილიყავ, ეხლა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქნებოდი... არა, დოცენტი... მაიცა, კაცო, დოცენტი კი არა, დოქტორი. შეიძლება აკადემიკოსიც ვყოფილიყავ. აახ, როგორ დავაშავე, რო თბილისში არ დავრჩი თავი-

დანვე... ახ, როგორ შავსწირე ოქროს წლები ამ ერთჯერედიან ცხოველებსა: ამებებსა და ქალამანა-ფოსტალებსა...“ (კობიაშვილი, 1986, გვ. 63).

სოფელს სძულს აბესალომი, თუმცა იძულებულია აიტანოს იგი. ერთხელ კი მოხდება ისე, რომ თავის ერთ-ერთ მეზობელ იაგორას მარტო შეხვდება ერთ უკაცრიელ ადგილას და რადგან იაგორას არავის ჰყავს მოწმე, მთელი სოფლის ჯავრს ამოიყრის და აბესალომს ფიზიკურად გაუსწორდება.

ცხადია, ის, რაც ამ მოთხრობაშია აღწერილი, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ საბჭოთა კავშირში განათლების სისტემის მუშაკთა კრიტიკა მწერლისაგან საკმაოდ სითამამის გამოჩენას ნიშნავდა. აბესალომი გამოწვევის არ ყოფილა. მისი მსგავსი დირექტორები და, საერთოდ, პედაგოგები ბევრნი იყვნენ. ისინი სისტემის ნაწილს წარმოადგენდნენ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ მოთხრობაში ერთი უპატიოსნო პიროვნება კი არა, არამედ მთელი საბჭოთა საგამანათლებლო სისტემის უარყოფითი მხარეებია გაკრიტიკებული. ადამიანებს „განაწილების პრინციპით“ სამუშაოდ აგზავნიდნენ იქ, სადაც მათ არ უნდოდათ, იმ საქმის გაკეთებას ავალბდნენ, რომელიც სძულდათ. ასე რომ, შეიძლება ისიც ითქვას, რომ აბესალომიც ერთგვარი მსხვერპლია სისტემისა. მსხვერპლად შეიძლება განვიხილოთ იაგორაც, რომელიც კანონის ძალით კი არ ებრძვის უღირს დირექტორს, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მას. ცხადია, განათლებული და კულტურული ადამიანი ასე არ მოიქცეოდა.

მოთხრობაში „ძმავ ავქსენტი!“ ტრაგიკომიკური სიტუაციაა აღწერილი. მთავარი გმირი, ერთ-ერთი სერიოზული სამეცნიერო დაწესებულების განყოფილების გამგე, რომელიც პატივისცემით სარგებლობს თანამშრომელთა შორის, სინამდვილეში ანონიმური წერილების მწერალი, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ ხოლმე „ანონიმშიკია“. მოთხრობაში აღწერილი ეპიზოდიდან ვხედავთ, თუ როგორ წერს იგი პროკურატურაში გასაგზავნ ანონიმურ წერილს, რომელშიც თავის თანამშრომლებს აბეზღებს. მოთხრობის მთავარი გმირი თავისი დირექტორის, – ოთხმოცი წლის ასაკის კაცის შესახებ წერს, რომ მას ჰყავს თერთმეტი საყვარელი და გაუნათლებელი, ცუდი ხელმძღვანელია; ბუღალტერს ფინანსურ დარღვევებში ადანაშაულებს. თავის ყველა კოლეგაში პოულობს ამა თუ იმ ხარვეზს. ერთ-ერთ მათგანს მოიხსენიებს როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს. მკითხველის ყურადღებას, ცხადია, ის გარემოებაც იქცევს, რომ ეს კაცი ვერაფრით ადასტურებს წერილში აღნიშნულ ფაქტებს. ოჯახში მას მკაცრი მამისა და, საერთოდ, კარგი მეოჯახის სახელი აქვს. სამსახურშიც აფასებენ როგორც კარგ სპეციალისტსა და პატიოსან ადამიანს. მოთხრობაში მალე იხატება ის ტრაგიკომიკური სიტუაცია, რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდით: კაცი შვილს ფოსტაში გაატანს, ცხადია, ხელმოუწერელ წერილს, მაგრამ როგორც შემდეგ გაიგებს, შვილს კონვერტზე დაუწერია მამის სახელი, გვარი და მისამართი, რადგან ეგონა, რომ დაავიწყდა მამას ამის გაკეთება. შემფოთებული მამა ფოსტის ყუთისაკენ გარბის. იქ დიდხანს ელოდება ფოსტის მუშაკს, რომელმაც ყუთი უნდა გახსნას, სურს, რომ დაიბრუნოს თავისი წერილი; მაგრამ რადგან არა და არ გამოჩნდება ეს მუშაკი, შიშისაგან გონდაკარგული კაცი წერაქვით მოტეხავს ფოსტის ყუთს და მას სახლში წაიღებს. გახარებულია, მაგრამ მისი სიხარული დიდხანს არ გრძელდება. აღმოჩნდება, რომ „ანონიმკა“ უკვე გაგზავნილია. შიშისაგან გონებადაბინდულს ხელში უჭირავს სულ სხვა წერილი და მექანიკურად კითხულობს მის დასაწყის სიტყვებს: „ძმავ ავქსენტი!“

ცხადია, ანონიმური წერილების მწერალი უარყოფითი პერსონაჟია. იგი, უბრალოდ, მამეზღარა და ცილისმწამებელი ჩანს. თუნდაც, დავუშვათ, რომ სიმართლე იყოს ის ყველაფერი, რის შესახებაც ანონიმურ წერილში წერს, მისი საქციელი მაინც ამორალურია, – არ ყოფნის ვაჟკაცობა, რომ გაბედულად, გახსნილად ებრძოლოს იმ მანკიერებას, რასაც თავის გარშემო ხედავს. მას საკუთარი საქციელი თავადვე სჯის.

გულო კობიაშვილის ეს მოთხრობა სხვა მხრივაც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. როგორც ითქვას, მთავარი პერსონაჟი, შესაძლოა, ტყუოდეს, ცილისმწამებელი იყოს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რომ ის ფაქტები, რომლებიც მის წერილშია აღწერილი, საბჭოთა კავშირში მართლაც ხდე-

ბოდა: ბულალტრები მართლაც ჩადიოდნენ ფინანსურ დანაშაულს, სამეცნიერო ხარისხებს ხშირად ყიდულობდნენ კიდეც და ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც საყვარლები ჰყავდათ, უსამართლოდ აწინაურებდნენ მათ ამა თუ იმ თანამდებობაზე. „მმაო ავექსენტიც!“ გულო კობიაშვილის იმ მოთხრობებს შორის შეგვიძლია განვიხილოთ, რომლებიც საბჭოთა სისტემის მახინჯ მხარეებს ამხელს.

საბჭოთა კავშირში იყო დრო, როცა ნეგატიურ მოვლენებთან და „დრომოქმულ ტრადიციებთან“ ბრძოლა გამოცხადდა. ამან მწერლებს საშუალება მისცა, რომ ხსენებული დევიზის საფარქვეშ არა მხოლოდ ცალკეული ტრადიციები და ნეგატიური გადმონაშთები, არამედ საბჭოთა სისტემის მთელი უარყოფითი მხარე წარმოეჩინათ.

გულო კობიაშვილის წიგნი „ლადი, როგორც ფრინველი“ (წიგნს სათაურად მასში შესული ერთ-ერთი მოთხრობის სახელი ჰქვია) 1998 წელს არის დაწერილი. საბჭოთა მწერლებს, ცხადია, საბჭოთა სისტემის კრიტიკის მეტი თავისუფლება მიეცათ. ხსენებული სათაურის მქონე მოთხრობაში გამოირჩევა ერთ-ერთი პერსონაჟი, სახელად ეკატერინე, რომელიც ბელადის კულტით შეპყრობილი საბჭოთა მოქალაქეების განზოგადებული სახეა. იგი კომუნისტია და ამით ძალიან ამყობს: „*მთელი ცხოვრება ნამდვილი, უმწიკვლო პარტიული ცხოვრებით მაქვს გატარებული*“ (კობიაშვილი, 1998, გვ. 187) – აცხადებს ეკატერინე.

ცნობილია, რომ საბჭოეთმა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანულ რელიგიას, ეკლესიასა და, ზოგადად, რწმენას. „*კომუნიაში და რელიგია ერთი მეორის მოწინააღმდეგე იდეებია. კომუნიაში ნიშნავს განათლებას, რელიგია – სიბნელეს: კომუნიაში ნიშნავს განვითარებას, რელიგია – დამორჩილებას*“ – წერდა გაზეთი „სპარტაკი“ (სპარტაკი, 1924 № 69; ციტატას ვუთითებთ წიგნიდან – მეტრეველი, 2015, გვ. 17). ლენინის იდეებზე აღზრდილი ეკატერინესთვისაც ღმერთი არ არსებობს. იგი ათეისტია და ამ საკითხზე თავის მოსაზრებებს თავგამოდებით უქადაგებს ახალგაზრდებს. ცხადია, ისინი არ იზიარებენ მის შეხედულებებს და სოციალიზმის მსხვერპლად მიიჩნევენ ქალს. ამ მოთხრობის ავტორი ამხელს ამგვარი ადამიანების სუბიექტივიზმსა და ჩამორჩენილობას.

მოთხრობაში „ბარიერთან“ გულო კობიაშვილი მისთვის დამახასიათებელი იუმორით აღწერს რედაქციაში მისული ერთ-ერთი ხნიერი მოქალაქის თავგადასავალს. იგი პარტიული მუშაკია, ბოლშევიკურ იდეებზე აღზრდილი, ამავდროულად „ლიტერატურული მოღვაწეობით“ არის გატაცებული და რედაქტორისაგან დაჟინებით მოითხოვს თავისი უნიჭო ლექსების გამოქვეყნებას, რაც ძალიან უხერხულ მდგომარეობას ქმნის. ამასთან, მას საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს, – კომიკურია ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გაბრაზდება „პოეტი“, როდესაც მას უარს ეტყვიან ლექსების დაბეჭდვაზე, იგი პათეტიკურად შესძახებს: – „ასე მოჰკლეს ვაჟა-ფშაველა!“ და განრისხებული დატოვებს რედაქტორის კაბინეტს.

გულო კობიაშვილის მოთხრობები მკაფიოდ ასახავს მწერლის ობიექტურ, ჯანსაღ კრიტიკას სოციალისტური სინამდვილის მიერ გაყალბებული ფორმალური ზნეობრივი ღირებულებების მიმართ. ავტორის მთელი შემოქმედება განმსჭვალულია ქართული მწერლობის ჰუმანისტური პრინციპებით და უპირისპირდება „ახალი საბჭოთა ადამიანის“ ყალბ მორალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კობიაშვილი, გ. (1986). ალვის ხეები, თბილისი: „მერანი“.

კობიაშვილი, გ. (1998). ლადი, როგორც ფრინველი, თბილისი: „მერანი“.

მეტრეველი, ს. (1998). კომუნისტური აგიოგრაფია, თბილისი: „მწიგნობარი“. ISBN 978-9941-1-8.

სპარტაკი (1924). თბილისი.

Refereces:

- K'obiashvili, G. (1986). *Alvis kheebi* [Poplar Trees]. Tbilisi: "Merani".
- K'obiashvili, G. (1998) *Laghi rogoris prinveli* [Free as a Bird]. Tbilisi: "Merani".
- Met'reveli, S. (1998). *Komunisturi agiographia* [Communist Hagiography]. Tbilisi: "Mtsignobari". ISBN 978-9941-1-8.
- Spart'ak'i (1924). [Spartak]. Tbilisi.